ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

სხდომის ოქმი N 4

27.04.2022

დღის წესრიგი:

1. 2021 წლის შემოდგომის კვალიფიკაციის მინიჭების წარდგინება
2. სამაგისტრო პროგრამების ჯგუფებში სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის საკითხი
3. ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის ერთიანი სტრატეგიის შესახებ
4. მასწავლებელთა მომზადების 60 კრედიტიან პროგრამაზე ონლაინ სწავლებაზე გადაწყვეტილების მიღება რექტორის 19.04.22, N107/01-01 ბრძანების შესაბამისად.
5. სტუდენტური ჟურნალისთვის თანხის გამოყოფა.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომა გაიმართა ონლაინ ზუმის პლატფორმაზე. ხმის მიცემა დაფიქსირდა ელექტროულად.

განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული მასალები წინასწარ გაეგზავნათ საბჭოს წევრებს.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღეს:

საბჭოს თავჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორები :

იამზე კუტალაძე, ლალი სურმანიძე, ვახტანგ ნადარეიშვილი

ასოცირებული პროფესორები:

მანანა მელიქიშვილი, ირინე ჟვანია, მაია მესტვირიშვილი, ეკატერინე ფირცხალავა, ლუიზა არუთინოვა, ანასტასია ქიტიაშვილი, თამარ აბაშიძე, ლილი ხეჩუაშვილი, ნინო ლაბარტყავა, შორენა მამუკაძე, ია აფთარაშვილი.

ასისტენტ პროფესორი:

თეონა ლოდია

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი:
ქეთევან ჭკუასელი

ასოცირებული პროფესორები: ზაქარია ქიტიაშვილი, რუსუდან სანაძე, იზაბელა პეტრიაშვილი.

კენჭისყრაში სულ მონაწილეობდა **20 წევრი**

განიხილეს:

1. საბჭოს მდივანმა ასოპც. პროფესორმა ირინე ჟვანიამ საბჭოს წარუდგინა 2021 წლის შემოდგომის კურსდამთავრებულები. კერძოდ:

მიენიჭოს მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფსიქოლოგიაში და მიეცეს შესაბამისი დიპლომი 2021/2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

სწავლების ძირითადი დარგი: ფსიქოლოგია

დიპლომი წარჩინებით

1. კუბლაშვილი მარიამი

დიპლომი ჩვეულებრივი

2. ბლიაძე ნათია
3. ივანიძე ნინო
4. გაგოშიძე თინათინ
5. ობოლაძე ანა
6. ქირია დავით
7. ჩარქსელიანი სალომე
8. ჩხარტიშვილი ლიკა
9. ხაბელაშვილი გვანცა
10. ჯანაშია სალომე

კენჭი უყარეს საკითხს: მიენიჭოს მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფსიქოლოგიაში და მიეცეს შესაბამისი დიპლომი 2021/2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს

მომხრე: 20
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: მიენიჭოს მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფსიქოლოგიაში და მიეცეს შესაბამისი დიპლომი 2021/2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს

მიენიჭოს ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი 2021/2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულს:

სწავლების ძირითადი დარგი: ფსიქოლოგია

სამაგისტრო პროგრამა ,,გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. მაჭავარიანი ანა

კენჭი უყარეს საკითხს: მიენიჭოს ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი 2021/2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულს.

მომხრე: 20
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: მიენიჭოს ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი 2021/2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულს.

მიენიჭოს ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2021/20221 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულს:

სწავლების ძირითადი დარგი: ფსიქოლოგია

სამაგისტრო პროგრამა: ,, იურიდიული ფსიქოლოგია“

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. ჯალალი გულისა

კენჭი უყარეს საკითხს: მიენიჭოს ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2021/20221 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულს

მომხრე: 20
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: მიენიჭოს ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი 2021/20221 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულს.

მიენიჭოთ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2021/2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

სწავლების ძირითადი დარგი: ფსიქოლოგია
სამაგისტრო პროგრამა: ,,შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. მოდებაძე ირაკლი
2. ქორიძე ნატა

კენჭი უყარეს საკითხს: მიენიჭოთ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2021/2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს.

მომხრე: 20
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: მიენიჭოთ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2021/2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს.

მიენიჭოთ **განათლების მეცნიერებების მაგისტრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2021/2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

სწავლების ძირითადი დარგი: განათლების მეცნიერებები

სამაგისტრო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“

დიპლომი წარჩინების:

1. ხაჟომია ნინო

დიპლომი ჩვეულებრივი:

2. გენგაშვილი ნათია

კენჭი უყარეს საკითხს: მიენიჭოთ **განათლების მეცნიერებების მაგისტრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2021/2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს.

მომხრე: 20
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: მიენიჭოთ განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2021/2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს.

მიენიჭოთ **განათლების მაგისტრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2021/2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

სწავლების ძირითადი დარგი დარგი:
საგნის/საგანობრივი ჯგუფის მასწავლებლის განათლება

დიპლომი წარჩინების:

1. გრიგორიან ანნა

დიპლომი ჩვეულებრივი:

2. ვანციან მანუშაკ
3. მუსტაფაევი ელმირ
4. ნასიბოვა სევდა
5. შახმურადოვა დურდანა

კენჭი უყარეს საკითხს: მიენიჭოთ **განათლების მაგისტრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2021/2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს.

მომხრე: 20
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: მიენიჭოთ განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2021/2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს.

მიენიჭოთ **განათლების ბაკალავრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2021/2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

სწავლების ძირითადი დარგი - მასწავლებლის განათლება
ქვედარგი - დაწყებითი განათლების პედაგოგიკა

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. ალიევა ნარმინ
2. აღდგომელაძე მარიამ
3. გრიგოლია თამუნა
4. კახიძე ელენე
5. სისაური თეონა
6. უჩანეიშვილი ნინო
7. ჯოჯუა დიანა

კენჭი უყარეს საკითხს: მიენიჭოთ **განათლების ბაკალავრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2021/2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს.

მომხრე: 20
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: მიენიჭოთ განათლების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2021/2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს.

2.ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თ. გაგოშიძემ საბჭოს წევრებს მიმართა ემსჯელათ ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის მინიმალური ზღვრის საკითხზე. მისი აზრით, სამაგისტრო პროგრამები ხარჯთეფექტური რომ იყოს, აუცილებელია მისაღები კონტიგენტის მინიმალური ზღვრის დაწესება, კერძოდ, სამაგისტრო პროგრამაზე მინიმუმ 5 სტუდენტი მაინც უნდა სწავლობდეს.

აზრი გამოთქვეს:

პროფესორმა ლ. სურმანიძემ აღნიშნა, რომ მისი პროგრამა სპეციფიკურია, ორიენტირებულია კვლევის სპეციალისტის მომზადებაზე, რაც მიმზიდველი არ არის ახალგაზრდებისთვის, ისინი უფრო პრაქტიკულ და გამოყენებით დარგებს არჩევენ. ამ დროს, ძალიან მნიშვნელოვანია მეცნიერების განვითარებისთვის სრულფასოვანი მკვლევრების მომზადება, რომლებიც იმუშავებენ ბევრ სხვადასხვა სფეროში და არა მხოლოდ ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიაში. ამიტომ მისთვის ნაკლებად მისაღებია მინიმალური ზღვრის დაწესება.
პროფესორმა ვ. ნადარეიშვილმა აღნიშნა, რომ მის პროგრამაზე ბევრი პრეტენდენტი კია, მაგრამ სელექციის კრიტერიუმები ძალიან მკაცრია და შეიძლება ადგილები არ შეივსოს. მოქმედი სტუდენტებიდან კი ხშირად ხდება, რომ ზოგიერთი იჩერებს სტატუსს და ამიტომ შეიძლება შუა სემესტრში 5-ზე ნაკლები სტუდენტიც აღმოჩნდეს. ამდენად ასეთი მინიმალური ზღვრის დაწესება არ იქნება მიზანშეწონილი.
ასოც. პროფესორებმა ლ. არუთინოვმა, შ. მამუკაძემ და ზ. ქიტიაშვილმა აღნიშნეს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან ურთიერთობა და პროგრამების რეკლამირება აბიტურიენტების მოსაზიდად. აუცილებელია პროგრამების თანამედროვ მედიატექნოლოგიებით წარდგენა, ბაკალავრებთან უფრო მეტი კომუნიკაცია, რომ გაიზარდოს სამაგისტრო პროგრამებზე მსურველების რაოდენობა. პროფ. თ.გაგოშიძემ აღნიშნა, რომ შედარებით კვლევითი და თეორიული პროგრამების წამორჩენაც ისეა შესაძლებელი, რომ სტუდენტმა დაინახოს მისი გამოყენების, მისი საშულებით კარიერის გაკეთების შესაძლებელობა. მისი აზრით, თვითონ პროფესორებმა უნდა შექმნან მოთხოვნა შესაბამის პროფესიაზე- ამას ესაჭიროება შესაბამისი ლიფლეტების დაბეჭდვა, სარეკლამო რგოლების შექმნა, ინტერვიუები მედიასთან. ფაკულტეტის ადმინისტრაცია ყველანაირად დაუდგება მხარში პროფესორებს თავიანთი პროგრამების მიმზიდველად წარმოჩენის საქმეში.

კენჭი უყარეს წინადადებას:
ფაკულტეტზე სამაგისტრო პროგრამა გაიხსნას ხუთი და მეტი სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში.

მომხრე: 16
წინააღმდეგი: 1
თავი შეიკავა: 3

დაადგინეს:
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამაგისტრო პროგრამის გახსნის პირობაა მინიმუმ 5 სტუდენტის ჩარიცხვა.

3. ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის წარმართვის ერთიანი სტრატეგიის შესახებ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თ. გაგოშიძემ საბჭოს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა რექტორის 2022 წლის 18 თებერვლის ბრძანების საფუძველზე, სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს აცნობა, რომ სასწავლო პროცესი 2 მაისიდან დაიწყება სააუდიტორიო ფორმატში.

ფაკულტეტის სტუდენტებს 2022 წლის 21 თებერვალს ეცნობათ, რომ 2 მაისიდან სწავლა განახლდება სააუდიტორიო რეჟიმში და გამოცდებიც პირისპირ ჩატარდება. მათ და აკადემიურ პერსონალს კიდევ ერთხელ დაეგზავნათ აღნიშნული ინფორმაცია განწყობის შესაქმნელად და სააუდიტორიო რეჟიმისთვის მოსამზადებლად.

დეკანმა სთხოვა საბჭოს წევრებს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების დეპარტამენტებში ჰქონდეთ მჭიდრო კომუნიკაცია სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან იმისთვის, რომ ყველას ჰქონდეს ადეკვატური ინფორმაცია ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის წარმართვის წესების შესახებ.

საბჭომ მოისმინა აღნიშნული ინფორმაცია და იმსჯელა ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის ერთიანი ფორმატის წესების შესახებ.

4. მასწავლებელთა მომზადების 60 კრედიტიან პროგრამაზე ონლაინ სწავლებაზე გადაწყვეტილების მიღება რექტორის 19.04.22, N107/01-01 ბრძანების შესაბამისად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ მასწავლებელთა მომზადების 60 კრედიატინი პროგრამის მსემენელებმა ფაკულტეტის სტუდენტების მსგავსად მეორე სემესტრი დაიწყეს ონლაინ რეჟიმში. მათ ამ სემესტრით სავალდებული პრაქტიკა აქვთ გათვალისწინებული, რომელსაც ადგილობრივად გადიან სკოლებში. 13 მაისიდან სწავლის სააუდიტორიო რეჟიმში გაგრძელება მათთვის ნაკლებად ხელისაწვდომია, რადგან მენტორები თავინათ ადგილობრივ სკოლებში ჰყავთ და სასკოლო პრაქტიკასაც ადგილზე გადიან. რექტორის 19.04.22, N107/01-01 ბრძანების მიხედვით, 2021 წლის 2 აგვისტოს N128/01-01 ბრძანებაში ცვლილების შესაბამისად გადაწყვეტილება სწავლების ფორმატის შესახებ მასწავლებელთა მომზადების 60 კრედიტიან პროგრამაზე უნდა მიიღოს ფაკულტეტის საბჭომ.

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფ. ზ. ქიტიაშვილმა, ასოც. პროფ. მ. მელიქიშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ აღნიშნული პროგრამის მსმენელებს არც აქვთ სტუდენტის სტატუსი. მათ აღნიშნეს, რომ გაზაფხულის მთელი სემესტრი გათვალისწინებულია სკოლაში მუშაობის პრაქტიკული კურსი.ბუნებრივია ონლაინ რეჟიმში მსმენელებმა თავიანთი ადგილის მიხედვით აირჩიეს სკოლები, მათთან გაფორმდა მემორანდუმები, შეთანხმებულები არიან სკოლის მენტორებთან და უკვე დაწყებული აქვთ პრაქტიკა. მაისიდან შეუძლებელი იქნება სკოლების ცვლილება, რადგან ეს ხანგრძლივ ორგანიზაციულ სამუშაოებს გულისხმობს. ამიტომ მიზანშეწონილია მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამაზე შენარჩუნდეს ონლაინ რეჟიმი მსმენელების საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე.

კენჭი უყარეს წინადადებას:

მასწავლებელთა მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის სწავლების ფორმატი გაგრძელდეს ონლაინ რეჟიმში, მსმენელთა ადგილობრივი სასკოლო პრაქტიკის გამო.

მომხრე: 20
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დააგინეს: მასწავლებელთა მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის სწავლების ფორმატი გაგრძელდეს ონლაინ რეჟიმში.

5. სტუდენტური ჟურნალისთვის თანხის გამოყოფა.

ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფ. ლალი სურმანიძემ საბჭოს წარუდგინა სტუდენტური ელექტრონული ჟურნალის გამოცემის პროექტი. მან საბჭოს აცნობა, რომ ფაკულტეტზე წარმატებით გამოიცა ელექტრონული ჟურნალის ორი ნომერი. აღნიშნულ ჟურნალს დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლების ყველა დონის სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარების სტიმულირებისთვის, მათი აკადემიურ პერსონლათან მჭიდრო თანამშრომლობისთვის. ნომრისთვის უკვე მიღებულია მაგისტრების, დოქტორანტების და ბაკალავრების სტატიები, რომლებიც რეცენზირების მიზნით გადაცემულია აკადემიური პერსონალისთვის. აღნიშნული ჟურნალის ელექტრონულ გამოცემას ესაჭიროება 2750 ლარი (დარიცხული), რომლის გამოყოფაც შესაძლებელია ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

კენჭი უყარეს:
მომხრე: 20
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: გამოიყოს ფაკულტეტის ბიუჯეტიდან სტუდენტური ელექტრონული ჟურნალის გამოსაცემად 2750 ლარი.

საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე



საბჭოს მდივანი: ასოცირებული პროფესორი ირინე ჟვანია